წერილის ნომერი: **18-01191891191**
თარიღი: **08/07/2019**
პინი: **1398**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური'') განიხილა თქვენი 2019 წლის 27 ივნისის #60-01191783584 წერილი (AR1673932), რომლითაც მოქალაქე გოჩა ნონიაშვილი ითხოვს ქ. თბილისში, ვაზისუბანი 1 მ/რ, კორპუსი #9-ის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება 1 მ/რ, კორპუსი #9-ის მიმდებარედ (ს.კ. #01.17.07.041.010)(ფუნქციური ზონა: სზ-6) შპს „სითი დეველოპმენტი 2018-ის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში, IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას და გაცნობებთ, რომ:

ვინაიდან, სამსახურის მიერ 2019 წლის 02 მაისის #18-01191223186 წერილის საფუძველზე დადგენილი ხარვეზები განმცხადებლის მიერ არ არის გამოსწორებული, **სამსახური ვერ იმსჯელებს გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.**

აქვე მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" მე-40 მუხლის მე-3^1 პუნქტისა და 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$" ქვეპუნქტის საფუძველზე, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს საინფორმაციო დაფის ესკიზი, რომელზეც გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ანდა ფოტომონტაჟის სახით (დასარგავი მწვანე ნარგავების სრული ვიზუალიზაციით).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი